№2683 2015 წლის 11 დეკემბერი ქ. თბილისი

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს დაფინანსებით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოსათვის გამოყოფილი საგრანტო პროექტის – „GEO2014003 რადიოაქტიური ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს შესაძლებლობების განვითარება რადიოაქტიურ ნარჩენებთან (მათ შორის, თხევად რადიოაქტიურ ნარჩენებთან) მოპყრობის მიზნით“ მოწონების თაობაზე

1. „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს დაფინანსებით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოსათვის გამოყოფილი საგრანტო პროექტი – „GEO2014003 რადიოაქტიური ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს შესაძლებლობების განვითარება რადიოაქტიურ ნარჩენებთან (მათ შორის, თხევად რადიოაქტიურ ნარჩენებთან) მოპყრობის მიზნით“.

2. განკარგულება ძალაშია 2016 წლის 4 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**